სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81908314709226

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261610926

რეგისტრაციის თარიღი

13.11.2026 წ

ნოტარიუსი: ნინო გელაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2, სართული #2

ტელეფონი: 591701134

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge

ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის ცამეტ ნოემბერს, მე, ნოტარიუს ნინო გელაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2, სართული #2, მომმართა დავითი გელაშვილმა. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავითი გელაშვილმა (დაბ. 01.08.1998წ. რეგისტრირებული: გარდაბანი ს. სართიჭალა მე–12 ქ. N 7, პირადი #12401104124) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ცამეტი ნოემბერი. დავითი გელაშვილმა (დაბ. 01.08.1998წ. რეგისტრირებული: გარდაბანი ს. სართიჭალა მე–12 ქ. N 7, პირადი #12401104124), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობი", გიორგი გუგუნაშვილს (დაბ.: 24.02.1998წ. რეგ. მისამართი: გარდაბანი ს. საცხენისი, პირადი #12001091302), რომლიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „მინდობილი პირი" უფლებამოსილია მართოს მიმნდობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი , ჭუჩა იუმაშევი, ს/კ 01.19.26.004.478 ამასთან დაკავშირებით წარმოადგინოს მიმნდობის ინტერესები მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, იუსტიციის სახლთან, საჯარო რეესტრების ტერიტორიულ სამსახურებთან, მათ არქივებთან, მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, მათ შორის, არქიტექტურის სამსახურთან, მუნიციპალურ ინსპექციასთან, ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურის სამსახურში, გამგეობაში, საკრებულოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, მუნიციპალურ ორგანოებში, ნებისმიერი საკომუნიკაციო სამსახურში, ასევე საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, მიმართოს მათ საჭირო განცხადებით, განაცხადებით და სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები, წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს მიმნდობის სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, თანხმობას, განცხადებას, მიღება-ჩაბარების აქტს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, შეუკვეთოს და მარეგისტრირებელ ორგანოში სარეგისტრაციოდ წარადგინოს აზომვითი ნახაზები, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ვერსიის სახით, აწარმოოს მიმნდობის სახელით საპროექტო სამუშაოები, გააკეთოს აზომვითი წახაზები (მათ შორის ელექტრონული ვერსიით), შეასრულოს მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად ყველა საჭირო მოქმედება, შეათანხმოს პროექტები, ექსპლუატაციაში მიღებასთა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ასევე მიიღოს დოკუმენტაცია, მათ შორის, მიიღოს / მოიპოვოს ნებისმიერი სახის ნებართვა (ცნობა) ხეების მოჭრასთან დაკავშირებით, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნებართვები, ნახაზები, პროექტები, შეიტანოს პროექტში ცვლილებები, ფართების კორექტირება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა/რუკა, გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი, მოსაკრებელი, აწარმოოს სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კორექტირება, ხარვეზის გასწორება, შეიტანოს ყველა სახის განცხადება, საჩივარი, შეუზღუდავად, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს მიმნდობის სახელით ზემოთაღნიშნული დავალებების შესასრულებლად. იყოს წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, საკრებულოებში, სანოტარო არქივში, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, სსგს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში (მის ნებისმიერ სამსახურში), საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ არქივში საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. იუსტიციის სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროს ნებისმიერ სამსახურში, მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის სსიპ მერიის არქიტექტურის სამსახურში, გამგეობაში, საკრებულოში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში (საჩივრის შეტანის უფლებით), ქონების მართვის სამსახურში, იურიდიულ საქალაქო სამსახურში, ფინანსთა სამინისტროს

შემოსავლების სამსახურში. ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობის წარმომადგენელი შპს „თბილისი ენერჯისთან“, სოკართან, შპს « ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან», ს «თელმიკოსთან», სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“-თან, სს "სილქნეტთან", მაგთიკომთან, სს “კავკასუს ონლაინ"-თან, დასუფთავების სამსახურში, და სხვა ნებისმიერ საკომუნიკაციო სამსახურებთან ურთიერთობაში, საქართველოს ენერეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან და აწარმოოს მიმნდობის საკუთრებაში არსებულ ზ/აღნიშნული უძრავ ქონებაში ელექრო ენერგიის, წყლის და გაზის გაყვანასთან და სამონტაჟო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო მოქმედება. გადაიტანოს მრიცხველები, მოხსნას აღრიცხვიდან და დაარეგისტრიროს ახალ აბონენტი. შეცვალოს საკონტაქტო ნომერი, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს შეთანხმებას ხელშეკრულებებში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანის შესახებ, გააუქმოს დადებული ხელშეკრულებები და ა. შ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი. შეავსოს დადგენილი განაცხადები, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაშვიდი წლის ცამეტი მაისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე ორ (02) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცა მიმნდობს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო არქივში.

„მიმნდობმა“ გადაიხადა ნოტარიუსის საზღაური: თვრამეტი (18) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი, 2011 წ. #507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე ხუთი (05) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის (29 დეკემბერი, 2011 წ. #507) დადგენილების 39-ე მუხლის I პუნქტისა, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისათვის და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – სამი (03) ლარი და ოცდაოთხი (24) თეთრი, ჯამში: ოცდაექვსი (26) ლარი და ოცდაოთხი (24) თეთრი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი _____ / ნინო გელაშვილი /